

## დიგენის აკრიტასი

პოემის შესავალში განსაზღვრულია მიზანი მისი შექმნისა, სახელდობრ, ხოტბის შესხმა სამგზის დიდებული, უმამაცესი და კეთილშობილი რაინდის – ბასილი აკრიტასისა, რომელმაც ბრძოლით აიღო და თავის ძალაუფლებას დაუმორჩილა მთელი სირია, ბაბილონი, არმენია, კაპადოკია, ამორია და იკონია, ხელთ იგდო მძლავრი ციხესიმაგრე ანკვირისა, ქალაქი სმისინა და სანაპიროს სხვა მხარეები. მისი მრავალრიცხოვანი გამარჯვება ღმრთის მოწყალებით, ღმრთისმშობლის მფარველობითა და ზეციურ მხედრობათა თანადგომით იყო განპირობებული, რომელთაგან განსაკუთრებით წმინდა გიორგი და წმინდა დიდმონამე დიმიტრი ენეოდნენ. საკუთარ ძალმოსილებასთან ერთად მათი შემწეობაც იყო მიზეზი იმისა, რომ მუსლიმები და ბარბაროსი სკვითები სასტიკად დაამარცხა და დაიმორჩილა.

ვიდრე უშუალოდ ბასილი აკრიტასის შესახებ თხრობას დაიწყებდეს, ავტორი მისი მშობლების ვინაობასა და თავგადასავალს გვამცნობს. მამა ბასილისა სირიის ერთ-ერთი ამირა იყო, რომლის პიროვნებაშიც ჰარმონიულად იყო შერწყმული ფიზიკური სიძლიერე და ვაჟკაცური სილამაზე აღნაგობით ტანკენარ კვიპროსს ემეტოქებოდა, ხოლო სახის ცოცხალი და ხალისიანი გამომეტყველება სიცოცხლის სიყვარულსა და მისით ტკბობაზე მიანიშნებდა. უჩვეულო ძალის პატრონი ველურსა და მტაცებელ მხეცებთან ბრძოლას თავიდანვე შეეჩვია. ბრძოლას მოწყურებული თავს დაესხა რომანიას<sup>1</sup> აიღო და უდაბნო ჰყო ქალაქები, კაპადოკიაში შეიჭრა და თავს დაესხა სტრატეგოსის ოჯახს, დარბია და გაძარცვა იგი, ხოლო სტრატეგოსის ულამაზესი ასული ტყვედ წამოიყვანა. თვითონ სტრატეგოსი ამ დროს შორეულ გადასახლებაში

---

<sup>1</sup> აღმოსავლეთ რომის იმპერია, ბიზანტია იგულისხმება.

იმყოფებოდა, ხოლო მისი ვაჟები – ქალწულის ძმები საზღვრებს იცავდნენ. თავს დატეხილი უბედურების შესახებ მათ დედის წერილიდან გაიგეს, რომელმაც მოახერხა და ტყვედ ჩავარდნას თავი დააღწია. წერილში დედა შვილებს თუნდაც სიცოცხლის ფასდა დის ტყვეობიდან გამოსხნას სთხოვდა, ხოლო თუ მის თხოვნას არ შეინწყნარებდნენ, მშობლების წყევლით ემუქრებოდა.

ხუთი ძმა მაშინვე ამირას ბანაკისაკენ გაემართა მცირერიცხოვან რაზმთან ერთად. ამირას ჯარი ველურ, გაუვალ ხეობაში იყო დაბანაკებული. თვითონ იგი კარვის წინ ოქროს მაღალ ტახტზე იჯდა მრისხანე მეომრებით გარეშემორტყმული. ძმებმა სამგზის თაყვანი სცეს, დალოცეს და დიდძალი გამოსასყიდის ფასად დის განთავისუფლება სთხოვეს, ამასთან ისიც მოახსენეს, რომ ფიცი ჰქონდათ დადებული, ან და დაეხსნათ, ან მომკვდარიყვნენ. ამირა მათმა გაბედულებამ დიდად გააკვირვა და გამოცდის მიზნით ერთ-ერთი მათგანი ორთაბრძოლაში გამოიწვია, იმ პირობით, რომ თუ თვითონ დამარცხდებოდა, დას დაუბრუნებდა, ხოლო თუ გაიმარჯვებდა, ყველას მონებად აქცევდა. ძმებმა წილი ჰყარეს და ამირასთან შებრძოლება წილად უმცროს ძმას, ქალწულის ტყუპისცალს ხვდა. ძმების დალოცვითა და მათი სიტყვებით გამხნეებულმა, რომ მშობლების წყევლისა უნდა შინებოდა და არა სიცოცხლის დაკარგვისა, ოთხივე მხრით ჯვარი გამოისახა და შუბითა და მახვილით შეიარაღებულმა ცხენი ბრძოლის ველისაკენ გააჭენა. მის შესახვედრად ამირაც გამოვიდა; როცა შუბები გადაუტყდათ, მახვილები იშიშვლეს და ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებნენ. ყმანვილის სიმამაცემ და საბრძოლო ხელოვნებამ სარაცინები ალაფრთოვანა, ხოლო ამირამ ცხენი უკან შემოატრიალა და გაიქცა, დამარცხდა უზომოდ ყოყლოჩინა: „ყოყოჩობას ხომ ვერასოდეს უწოდებ ღირსებას“ (I, 192). მან მახვილი გადააგდო, ხელები მალლა აწია და დამარცხება აღიარა. ძმებმა ღმერთს

მადლობა შესწირეს და მიმართეს: „ვინც სასოებას შენზე ამყარებს, მას არც სირცხვილის განცდა მოუხდება“ (I, 203). ამირასაგან ბოძებული ბეჭდის წყალობით, მათ მთელი ბანაკი მოიარეს და ყველა კარავში შეიხედეს, მაგრამ დას ვერ მოაგნეს, ბოლოს ერთმა მინათმოქმედმა სარაცინმა უთხრა, რომ ლამაზი ქალწულები, რომელნიც მათ სურვილს არ დაემორჩილნენ, ხეობის ბოლოს ფლატეზე გაიყვანეს და ამოხოცეს. ძმებმა ფლატეზე მართლაც მრავალი სასტიკად დამახინჯებული და დაჩეხილი გვამი იხილეს, მაგრამ წამებულთაგან ვინ ვინ იყო, ამის ამოცნობა არავის შეეძლო. ამიტომ ერთი საერთო საფლავი ამოთხარეს, დაჩეხილი სხეულების ნაწილები შეკრიბეს და დაფლეს. უკან დაბრუნებულებმა და უნუგეშო გლოვით შეპყრობილებმა ამირას სთხოვეს, ან და დაებრუნებინა მათთვის, ან მოეკლა ისინი. მაშინ ამირამ მათი წარმომავლობა გამოიკითხა. ძმებმა უპასუხეს რომ ანატოლიკიდან, კინამიდების ცნობილი გვარიდან იყვნენ, ხოლო დედა დუკების გვარიდან ჰყავდათ, კონსტანტინე დუკას შთამომავალი. მამა დასმენის შედეგად გადაუსახლეს, ხოლო თვითონ საზღვრის დამცველებად იდგნენ. ამიტომაც გაუადვილდა ამირას მათი ოჯახის დარბევა და დის გატაცება, თორემ შინ რომ დახვედროდნენ, ბრძოლა სხვაგვარად დამთავრდებოდა.

თავის მხრივ ძმებს ამირამაც გააცნო თავისი წარმომავლობა. მამამისს ქრისოვერგი ერქვა, ხოლო დედას – პანთია. რადგან მამით ადრე დაობლდა, დედამ მისი აღზრდა ნათესავ არაბებს დაავალა, რომელთაც იგი მაჰმადის რჯულით აღზარდეს. ბრძოლებში გამოჩენილმა სიმამაცემ მას დიდებასთან ერთად სირიის მმართველობაც მოუტანა. მტრების წინაშე ქედმოუხრელი და ბრძოლებში უშიშარი მათი დის გასაოცარმა სილამაზემ ისე დაიმორჩილა, რომ მზად იყო, თუკი მას ცოლად მიათხოვებდნენ მუჰამედის რჯული დაეტოვებინა და ქრისტიანობა მიეღო.

ამის შემდეგ ამირამ ძმებს გაუმხილა, რომ დის ნახვა მის კარავში შეეძლოთ. ენით აუწერელი იყო ის სიხარული, რაც ძმებმა ამდენი მწუხარების გადატანის შემდეგ დის ხილვით განიცადეს. მათ ამირას შეჰფიცეს, რომ თუ რომანიაში მივიდოდა, დას ცოლად გაატანდნენ. მალე ყველგან გავარდა ხმა, როგორ დაამარცხა დიდგვაროვანმა ქალწულმა თავისი უჩვეულო სილამაზით სირიის სახელგანთქმული ამირა და მისი ლაშქარი.

**წიგნი II.** ძმებმა დედას დის ტყვეობიდან გამოსხნა გზიდან წერილით აცნობეს და სთხოვეს ქორწილისათვის მზადება დაეწყო, რადგან მშვენიერი სასიძო ჰყავდათ. უზომო სიხარულით შეპყრობილ დედას მხოლოდ ის აფიქრებდა, იქნებოდა თუ არა სასიძო მისი ასულის შესაფერისი და შეითვისებდა თუ არა იგი კეთილშობილ რომაელთა ადათ-წესებს. მაგრამ როცა მან სასიძო იხილა, ეს ეჭვი გაუქარწყლდა და სამადლობელი ლოცვა აღავლინა ღმრთისადმი, დარწმუნებულმა, რომ ქრისტეს მტკიცე რწმენის მქონე ყოველივეს მიაღწევს. პირობისამებრ სასიძო ქორწინებამდე მოინათლა. არ არსებობს სამყაროში სიხარული იმაზე დიდი, რომელსაც ადამიანს ნაზი ვნების განცდა ანიჭებს. და რამდენადაც დიდია ტანჯვა იმისა, ვინც სიყვარულში მარცხი განიცადა, იმდენად დიდია ბედნიერება იმისა, ვინც საყვარელ არსებას შეუერთდა. სწორედ ასეთი ბედნიერება არგუნა წილად ამირას საყვარელ არსებაზე დაქორწინებამ, რომლის შედეგადაც დიგენის ბასილი აკრიტასი დაიბადა.

ამასობაში ამირამ დედის წერილი მიიღო, რომელშიც იგი მას ოჯახის, სამშობლოს მიტოვებასა და რწმენის ღალატის გამო საყვედურობდა. დედა შვილს შეახსენებდა საგმირო საქმეებს მამისას, რომელმაც მრავალი რომაელი დახოცა, მრავალნიც დაატყვევა და მონებად აქცია და მრავალი თემი რომანიისა გაანადგურა. რომაელები მამამისის

გადაბირებასაც შეეცადნენ და ალყაში მოქვეულს საზეიმო ფიცით პატრიკოსის წოდების მინიჭებასა და პროტოსტრატორობას შეჰპირდნენ, თუკი მახვილს გადააგდებდა და დანებდებოდა, მაგრამ მან სიმდიდრესა და პატივზე უარი თქვა და წინასწარმეტყუელი მუჰამედის ერთგულება შეინარჩუნა, რისთვისაც აკუნეს. ამირამ კი ისე, რომ მისთვის ძალა არავის დაუტანებია, მამამისის საპირისპიროდ, უარი თქვა სარწმუნოებაზე, ოჯახსა და დედაზე. არ იყო მეჩეთი, რომელშიც მას ამის გამო არ წყევლიდნენ, და თუკი იგი სირიასა და თავის ოჯახს არ დაუბრუნდებოდა, ამირები მას თავს მოჰკვეთდნენ, შვილებს დაუხოცავდნენ, ხოლო მის მშვენიერ ცოლებს, რომელთაც მასთან განშორების გამო თვალზე ცრემლი არ აშრებოდათ, სხვას გადასცემდნენ.

დედა ამირას ასევე სწერდა, რომ რჩეულ ტაიჭებს უგზავნიდა, რომელთა საოცარი სისწრაფე საწინდარი იყო იმისა, რომ მდევარი ვერ დაეწეოდა. წერილმა ამირაზე დიდად იმოქმედა, გული დედის სიბრალულით აევსო, შვილების გამო მწუხარებამ შეიპყრო, ხოლო ცოლების გამო, რომელთაც ალერსი სხვებისგან ელოდებოდათ, ეჭვით აღეგზნო. წერილის შესახებ მან მეუღლეს აცნობა და რადგან საყვარელ არსებასთან განშორება წუთითაც არ სურდა, სთხოვა, თან გაჰყოლოდა, და ისიც უყოყმანოდ დასთანხმდა. მაგრამ უმცროს ძმას სიზმარში ეჩვენა, რომ მათ დას საფრთხე ემუქრებოდა და ამის შესახებ უფროს ძმებსაც უამბო. მათ იპოვეს წერილის მომტანი არაბები, ყოველივე შეიტყვეს და სიძეს განზრახული ღალატის გამო მკაცრად უსაყედურეს. თავდაპირველად ამირას ეგონა, რომ ცოლმა გასცა, თუმცა სიმართლე მალე გაირკვა. მისი მეუღლე ძმებთან გაიქცა, უზენაესი დააფიცა, შეურაცხყოფა არ მიეყენებინათ უდანაშაულო სტუმრისათვის, მან ხომ სირიაში დაბრუნება დედის წყევლის შიშით გადაწყვიტა, ისევე როგორც ცოტა ხნის წინ ისინი დაშინდნენ დედის წყევლით და დის გამოსახსნელად

სახიფათო გზას დაადგინენ. ძმებმა საყვარელ დას განუცხადეს, რომ თუ თვითონ თანახმა იყო მისი ქმრის სირიაში დაბრუნებისა, არც ისინი გაუწევდნენ წინააღმდეგობას, ოღონდ ამირას უნდა დაეფიცა რომ უკან მალევე დაბრუნდებოდა. მათი მოთხოვნა ამირამ სიამოვნებით შეასრულა და გამგზავრებისათვის მზადებას შეუდგა. ნასვლის წინ იგი მეუღლესა და შვილს გამოემშვიდობა და ღმერთს სთხოვა მიენიჭებინა მისთვის ბედნიერება მისი ორმაგადშობილი ვაჟის ბოლომდე აღზრდისა, რათა ეხილა იგი ცხენზე ამხედრებული და ესწავლებინა მისთვის შუბის ისე მოხმარება, რომ მისით ყველას ეამაყა.

**წიგნი III.** გზიდან ამირა მეუღლეს წერილებს უგზავნიდა, რომლებშიც ერთსა და იმავეს დაჟინებით სთხოვდა; ნაცვლად სევდისა და მწუხარებისა, მისთვის ელოცა, ხოლო თანმხლებ მოყმეებს მიუწოდებდა, მხნეობა გამოეჩინათ, რათა, რაც შეიძლება, სწრაფად გაევიდნენ ველური ხეობები, საშიში უდაბნოები და მთები, რაც საწინდარი იქნებოდა რომანიაში სწრაფად დაბრუნებისა. ამასთან, შეახსენებდა, რამდენჯერ უხსნია ისინი უცილობელი სიკვდილისაგან უთანასწორო ბრძოლაში გამოჩენილი სიმამაცით. და ევედრებოდა არ მიეტოვებინათ იგი ახლა, როცა წინ სხვა სახის ბრძოლა – მძიმე ჯაფა სიყვარულისათვის – ელოდებოდათ. სიყვარულისათვის თავდადება ამირასი და მისი მხლებლებისა მართლაც სასწაულებს ახდენდა. ისინი დღეში სამ გადასასვლელს გადადიოდნენ, ხოლო როცა ველურ ხეობებს მიადგებოდნენ, პატრონი მოყმეებს უფრთხილდებოდა და შემოვლითი გზით მიჰყავდა.

ერთხელაც ერთი ასეთი საზარელი ხეობიდან ნანადირევი გაზელითურთ, ლომი გამოვიდა. შეშინებული მოყმენი მთისკენ გაიქცნენ, რაც შეეხება ამირას, მას წარბიც არ შეუხრია, პირიქით, მტაცებელთა შორის ყველაზე საშიშის თავხედობამ განარისხა და ძალა შეჰმატა, მან

მხეცს კომბალი მძლავრად დაარტყა ზურგზე და იგი უსულოდ დაეცა. როცა მოყმეებმა შიშისაგან გული მოიბრუნეს, ამირამ მათ ლომისთვის ყველა კბილისა და მარჯვენა თათიდან ბრჭყალების დაძრობა უბრძანა, რომელსაც, რომანიაში დაბრუნებული, თავის მშვენიერ ვაჟს კაპადოკიელ დიგენის აკრიტასს მიუძღვნა.

როგორც იქნა გზა გაილია და მგზავრები რაქაბის ციხე-სიმაგრეს მიადგნენ. ამირამ მხლებლებს კარვების მის კედლებთან გაშლა უბრძანა, ხოლო ორი მოყმე სიმაგრეში შეაგზავნა, რათა დედისთვის შვილის მოსვლა ეცნობებინათ. გახარებული დედა ამირას ცოლებსა და შვილებსა და ნათესავებთან ერთად ციხე-სიმაგრიდან შვილთან შესახვედრად გამოემართა. მეტისმეტი ბედნიერებისაგან ცრემლების უხვად დაღვრის შემდეგ ყველანი კარავში შევიდნენ და წესისა და რიგის მიხედვით დასხდნენ. პირველად დედამ მიმართა შვილს და შეეცადა თავის სიტყვაში მისთვის მუჰამედის რჯულის უპირატესობა იმ სასწაულებით დაემტკიცებინა, რომელნიც ეფრთად ჰქონდათ ნანახი. ერთ-ერთი ასეთი სასწაულთაგანი ღამით წინასწარმეტყველის საფლავზე ზეციდან გადმოსული ნათელის ხილვა იყო. ამასთან, საფლავის სიახლოვეს დათვები, ლომები და მგლები გამოჩნდნენ ცხვრის ფარებთან ერთად, რომელნიც ერთმანეთს კი არ ვნებდნენ, არამედ კეთილად მწყემსავდნენ და თითქოს ლოცვას ელოდებოდნენ, რადგან როდესაც სალოცავად მუხლი მოიყარეს, უკან გაბრუნდნენ. განა ამირას ამაზე მეტი რა უნდა ენახა რომანიაში? დედას გული წყდებოდა, რომ მისმა ვაჟმა, რომლისგანაც დღე-დღეზე ეგვიპტის დამარცხებასა და დამორჩილებას ელოდებოდნენ, ერთი რომაელი ქალისათვის ძველი დიდებაც დაკარგა და ახლის მოპოვებაზეც უარი თქვა.

საპასუხოდ დედისა ამირამ გაბედულად განაცხადა, რომ, რაც მანამდე ჭეშმარიტებად მიაჩნდა, სინამდვილეში წარმწყმედელი სიბნელე

ყოფილა, რაშიც ჭეშმარიტი ღმერთის შეცნობამ დაარწმუნა. ამის შემდეგ იგი გადმოსცემს ძირითად მოძღვრებას ქრისტიანული სარწმუნოებისა, კერძოდ, ერთ, ყოველივეს შემოქმედ სამპიროვან ღმერთზე – მამასა, ძესა და სული წმიდაზე ძის განკაცებაზე კაცობრიობის ცოდვისა და სიკვდილის ტყვეობიდან გამოსახსნელად, მის ჯვარზე ვნებასა და მესამე დღეს აღდგომაზე, სამების სახელით ნათლობის შედეგად ადამიანთა მეორედ შობასა, საყოველთაო აღდგომასა და მარადიულ ნეტარებაზე, რომელნიც მართალთ ღმერთის სასუფეველში ელის.

რამდენადაც მთელი ქვეყნის სიმდიდრე ერთი ადამიანის სულადაც არ ღირს. ამირა დედას შეევედრა, ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოქცეულიყო, რათა ქრისტეს მეორედ მოსვლისას გამართულ საშინელ სამსჯავროზე გამართლებულიყო და ჰადესში საშინელი ტანჯვის ნაცვლად მარადიული ნეტარება მოეპოვებინა.

შვილის შეგონება დედამ ისე მიიღო, როგორც ნაყოფიერი მიწა იღებს ხოლმე თესვს და მადლობა მოახსენა შვილს ჭეშმარიტებაში გარკვევისათვის. რომანიაში წასვლა და იქ მარადიული ცხოვრების მოსაპოვებლად ნათლობის მიღება ამირას ნათესავებმა და ახლობლებმაც მოისურვეს. განცვიფრებულმა ამირამ მადლობა შესწირა ღმერთს და ყველანი, იმ ქონებასთან ერთად რისი წაღებაც შეეძლოთ, კაპადოკიისაკენ მიმავალ გზას დაადგნენ. როდესაც კაპადოკიას მიაღწიეს, ამირამ გადაწყვიტა მისი ძვირფასი მეუღლისათვის კეთილი ამბის მაცნე თავად ყოფილიყო, თან სამი მოყმე იახლა და ჩიტვიით გაფრინდა. განშორების შემდეგ შეყრის სიხარული იმდენად დიდი იყო, რომ თავდავინწყებით შეყვარებული მეუღლენი კინალამ იმსხვერპლა. უჩუელოდ დიდი სიყვარული და უზომო ბედნიერება ხომ ხშირად იმ ადამიანთა სიკვდილის მიზეზი ხდება, რომელთაც ისინი ეწვევა.



ამირას დედა და ნათესავები სტრატეგოსის სასახლეში გულთბილად მიიღეს. მალე ნათლობის წმინდა წესიც შესრულდა და ნათლისღების შედეგად ახლად შობილთა მამა თავად ამირა გახდა.

**წიგნი IV.** იწყება სიყვარულის ყოვლისშემძლე ძალის შექებით, რომელმაც სირიის მპყრობელ, სიმამაცითა და სილამაზით განთქმულ ამირას რწმენა გამოაცვლევინა. ავტორის აზრით, მასსა და მის თავგადასავალთან შედარებით მნიშვნელობას კარგავს არაკები და თქმულებები ტროას ომის გმირებზე, აქილევსსა და ჰექტორზე. მათთან შედარებით იგი უპირატესობას ალექსანდრე მაკედონელს ანიჭებს, რომელიც თავისი გონიერებისა და ღმრთებრივი შემწეობის წყალობით სამყაროს მპყრობელი გახდა. აქვე არიან მოხსენიებულნი აპელატები – ფილოპაპოსი, კინამი და იონაკისი, რომელთაც თითქოს სახელი მოიპოვეს, მაგრამ სინამდვილეში თავი მხოლოდ კვეხნით გამოიჩინეს. პოეტი თხრობას უშუალოდ ნაწარმოების მთავარ გმირზე, რომელიც ამირასა და მის მეუღლეს შეეძინათ, აქედან იწყებს. მშვენიერ ყრმას ბასილი დაარქვეს, ხოლო მშობლების მიხედვით, რომელთაგან ერთი ქრისტიანი იყო, ხოლო მეორე სირიელი, ზედწოდებად დიგენისი მიიღო, რაც ორგვარად შობილს (ბერძენისა და სირიელისაგან) ნიშნავს. როცა ბასილი გაიზარდა და იმპერიის საზღვრების დაცვით მტრების თავდასხმებისაგან დიდი სახელი მოიხვეჭა, მას კიდევ ერთი ზედწოდება – აკრიტასი მიენიჭა.

ამირამ ყრმა დიგენისი აღმზრდელს მიაბარა. სამი წლის განმავლობაში სწავლობდა იგი სხვადასხვა მეცნიერებას და მახვილი გონების წყალობით ყველაფერს სწრაფად ითვისებდა, ხოლო მამა ვაჟს ცხენოსნობასა და ნადირობაში წვრთნიდა. როცა იგი თორმეტი წლის გახდა, მამას სანადიროდ წაყვანა სთხოვა, რადგან საკუთარი შესაძლებლობების გამოცდა სურდა. ამირამ თავდაპირველად უარი

უთხრა იმ მიზეზით, რომ ისეთი საშიში საქმისათვის, როგორც ნადირობაა, ჯერ კიდევ პატარა იყო, მაგრამ დიგენისი სხვაგვარად ფიქრობდა, მას მიაჩნდა, რომ სახელი სწორედ ყრმობაში ჩადენილი საგმირო საქმით უნდა მოეპოვებინა, რადგან ზრდასრულის მიერ გამოჩენილი სიმამაცე და ხელოვნება იარაღის ხმარებისა, ჩვეულებრივ ამბად მიაჩნდა.

შვილის კეთილშობილური ხასიათით აღფრთოვანებულმა ამირამ უარი ვეღარ უთხრა და მამამ და ბიძამ ბიჭი სანადიროდ წაიყვანეს. პირველად დათვების ოჯახი შემოხვდათ. ბელების დასაცავად ჯერ ძუ დათვი გამოექანა, ბიძამ დიგენისს მის წინააღმდეგ კომბლის ხმარება ურჩია, მაგრამ ბიჭმა არც ის გამოიყენა და იგი ხელებით მოახრჩო. მაშინ მამა დათვი ქაობისაკენ გაძუნძულდა, მაგრამ დიგენისი მას კომბლით დაედევნა, დათვმა უზარმაზარი ხახა დაალო, რომ მისთვის თავი მოეჭამა, მაგრამ დიგენისმა ხელი დრუნჩში ჩასჭიდა და ისეთი ძალით დაანარცხა, რომ მიწაზე გაშოტილი დათვი უძრავად დარჩა და ბიჭის ხელებში დალია სული. დათვის ღრიალზე თავისი საფარიდან შეშინებული გაზელი გამოვარდა, რომელსაც უნდოდა გაქცევით ეშველა თავისთვის, მაგრამ დიგენისი რამდენიმე ნახტომით დაეწია, უკანა ფეხებში სტაცა ხელი და შუაზე გახლიჩა. ნადირობა ამით როდი დამთავრდა. ლერწმნარიდან ლომი გამოვიდა და სისხლმონყურებული ბრდლინვით ბიჭისაკენ დაიძრა, მაგრამ დიგენისმა მას მახვილით თავი მხრებამდე გაუპო.

მამა აღტაცებით შეჰყურებდა იშვიათად ლამაზი აღნაგობის ვაჟს. დიგენის ვარდისფერ სახეს ოქროსფერი კულულები, შავი წარბები და დიდი თვალები ამშვენებდა. ამირა ფიქრობდა, რომ იგი სამგზის კურთხეული იყო ღმრთისაგან, რომელმაც ასეთი ძე უბოძა.

როცა დიგენისმა თავისი ძალების გაფურჩქვნას მიაღწია, გადაწყვიტა აპელატები ენახა, რომელნიც ვიწრობებში აფარებდნენ თავს და

რომელთა შესახებაც ბევრი რამ გაეგონა. მათი სადგომის სიახლოვეს აპელატების მსახური – წყლისმზიდველი შემოხვდა, რომელმაც იგი ყაჩაღების საშიშ ბუნაგში მიიყვანა. იქ მან აპელატების მეთაური ფილოპაპოსი, უამრავი ცხოველის ტყავზე წამონოლილი იხილა. ჭაბუკი მას პატივისცემით მიესალმა და თავისი სურვილი გაუმჟღავნა – აპელატი გამხდარიყო. მოხუცმა ფილოპაპოსმა გამოსაცდელად თხუთმეტი დღე-ღამის განმავლობაში სადაეაჯოზე ფხიზლად დგომის შემდეგ ლომების მოკვლა, ისევ სადარაჯოზე დაბრუნება, ახლადდაქორწინებულთა ამაღაზე თავდასხმა, პატარძლის მოტაცება და მოყვანა დაავალა. თუ ჭაბუკს ამ დავალებათა შესასრულებლად ძალა ეყოფოდა, შეეძლო თავი აპელატად ჩაეთვალა. პასუხად დიგენისმა უთხრა, რომ ამგვარ საქმეებს იგი ჯერ კიდევ მაშინ ასრულებდა, როცა ყრმა იყო. ამიტომ, თავის მხრივ, აპელატებს ველზე გასვლა და იქ კომბლებით შებრძოლება შესთავაზა. გამარჯვებულს ჯილდოდ დამარცხებულთა კომბლები უნდა დარჩენოდა. დიგენისმა ყველას აჯობა, ფილოპაპოსთან უამრავი კომბლით დაბრუნდა და უთხრა, რომ თუ მაინც უკმაყოფილო იყო, შეეძლო მისი კომბალიც ჩაეგდო ხელში.

ამის შემდეგ პოემაში დიგენისის სასიყვარულო თავგადასავალია მოთხრობილი. ჭაბუკის ყურამდეც მიაღწია ხმამ იმპერიის ერთ-ერთი ოლქის მმართველის, დუკას ასულის ევდოკიას უჩვეულო სილამაზის შესახებ. ერთხელ როცა ის თავის მხლებლებთან ერთად ნადირობიდან ბრუნდებოდა, გზაზე დუკას სახლს მიადგა და ხმამაღლა შესძახა, რომ ვისაც ჭეშმარიტად უყვარს უმშვენიერესი ქალწული და მის სახლს ისე ჩაუვლის, რომ მას ვერც იხილავს, გული მისი შეიბოჭება და არც ცხოვრება მისი იქნება ტკბილი. მოყმის ტკბილმა ხმამ სასახლის კედლებს შიგნითაც შეაღწია და შიგ მყოფნი ისე გაოცებულნი დატოვა, როგორც ხომალდზე მყოფი ოდისევსი სირინოზთა სიმღერამ. გოგონამაც მოისმინა

ეს ხმა და თვალი მოჰკრა თუ არა მისი სახლის წინ მშვენიერ ჭაბუკს მის გულში, სიყვარულის გრძნობამ მთელი ძალით იფეთქა და ცხოვრება სატანჯველად გაუხდა. დიგენისმა მამას სთხოვა დუკასათვის მისი ქალიშვილის ხელი ეთხოვა სარძლოდ, ხოლო თუ არ დათანხმდებოდა, მწარედ ანანებდა. ამ დროს უცბად სარკმელში თავად ქალწული დაინახა, მისმა სილამაზემ ისე დაატყვევა, რომ ნაბიჯის გადადგმაც ვერ შეძლო, ხოლო როცა გონს მოვიდა, ცხენი სარკმელთან მიაჭენა და წყნარი ხმით უთხრა, რომ თუ იგი მასზე ოცნებობდა, მისი ცოლი გახდებოდა, თუ არა, მეტად აღარ შეაწუხებდა. ევდოკიამ საპასუხოდ მსახური ქალის პირით შეუთვალა, რომ ღმერთი იყოს მონმე იმისა, რომ სიყვარულმა მთელი მისი სული მოიცვა, მით უმეტეს, თუ იგი დიგენის აკრიტასი იყო, ვისი საგმირო საქმეებიც ყველას პირზე ეკერა. მაგრამ აფრთხილებდა მამამისს მორიდებოდა, რათა სიჭაბუკეს ნაადრევად არ გამოსთხოვებოდა. პასუხად დიგენისმა უთხრა, რომ სტრატეგოსიცა და მისი მეომრებიც მის წინაშე უძღურნი აღმოჩნდებოდნენ, თუ ქალიშვილი მართლაც შეიყვარებდა. ახალგაზრდები საუბარს ვერ ამთავრებდნენ, რადგან ერთმანეთთან გაყრა ეძნელებოდათ. ავტორი აქ ისევ სიყვარულის ძალას იხსენებს, რომელნიც შეყვარებულებს შიშთან ერთად მორიდების გრძნობასაც აკარგვინებს და ისინი თავდავიწყებამდე მიჰყავს. აქვეა აღწერილი ევდოკიას გარეგნობაც, ქერათმიანი მზეთუნახავი, თოვლივით თეთრი სახით, შავი წარბებითა და ცოცხალი, სიხარულით აღსავსე გამოხედვით, ნახატს ჰგავდა. გამოთხოვებისას ქალწულმა დიგენისს ბეჭედი აჩუქა, რომელიც მან მკერდში, გულთან ახლოს შეინახა.

შეყვარებულ ჭაბუკს აღარც ჭამა ახსოვდა და აღარც სმა. ბოლოს კითარას წამოავლო ხელი, რომელზეც მშვენივრად უკრავდა და წყნარი ხმით ამღერდა თავის დიდ გრძნობაზე. ინათა თუ არა, სატრფოსაკენ გაემართა და კითარაც თან წაიღო. როცა სარკმელში ქალწული ვერ

იხილა, რომელსაც სიყვარულით გათენებული ღამის შემდეგ ჩასძინებოდა, უტკბესი ხმით დაამღერა კითარაზე, რომელშიც სატრფოს ძილის გამო უსაყვედურა, სურნელოვანი ვაშლი და ვარდის უნაზესი ყვავილი უწოდა და სთხოვა გაეღვიძა, რათა გზას დროულად დადგომოდნენ. მაგრამ ევდოკიამ იმის შიშით, რომ მამა და ძმები მეომრებითურთ დაედევნებოდნენ და სატრფოს მოუკლავდნენ, გაყოლაზე უარი უთხრა. დიგენისმა პასუხად უთხრა, როგორც ჩანს, ქალწული მის საგმირო საქმეებს არ იცნობდა, თორემ მიხვდებოდა, რომ სტრატეგოსი, მთელი თავისი ლაშქარიც რომ გამოეყვანა მასთან შესაბრძოლებლად, ვერაფერს დააკლებდა, ხოლო თუ უარის თქმის ნამდვილი მიზეზი ის იყო, რომ სხვა უყვარდა, სანამ ცოცხალი იყო, მისი ქმარი ვერავინ გახდებოდა. მაშინ ევდოკიამ აუხსნა, რომ თუმცა მისი ხელის მთხოვნელთა შორის მრავლად იყვნენ იმპერატორის ნათესავებიცა და სხვა წარჩინებული დიდებულებიც, მამამისმა არა თუ თავისი ასულის ხელის, არამედ მისი ჩრდილის დანახვის ღირსადაც კი არცერთი არ ცნო. თავად ქალწულიც ერიდებოდა სხვებს ჩვენებოდა, სარკმლიდანაც კი არ გადმოუხედავს არცერთხელ და უცხოთა მზერას, როგორც ეს ყმანვილ ქალს შეჰფერის, თავს ყოველთვის არიდებდა. მხოლოდ დიგენისმა დაავინყა მორიდებაცა და სიფრთხილაც, მისი გულისთვის მზად იყო მამაც მიეტოვებინა და ძმებიც, ოღონდ ერთი რამ აეჭვებდა, ხომ არ მოატყუებდა დიგენისი და მის ნდობას ბოროტად ხომ არ გამოიყენებდა. დიგენისმა შეჰფიცა, რომ უკეთუ იგი სიცოცხლის ბოლომდე მის სიყვარულს არ უერთგულებდა და არ გაუფრთხილდებოდა, დაე, ქრისტიანული აღსასრული არ ღირსებოდა. როცა ჭაბუკმა ყოვლადნმიდა სამების სახელით მეორედაც შეჰფიცა, ევდოკია საკრმლიდან გადმოიხარა, დიგენისი ცხენზე აღიმართა და სატრფო გულში ნაზად ჩაიკრა. სიხარულის ცრემლთაღვრის შემდეგ ჭაბუკმა, რომელიც სტრატეგოსის სასახლის წინ

ამაყად იდგა, ხმამაღლა შესძახა სიმამრს, რომ ეკურთხებინა ისიცა და თავისი ასულიც და ღმრთისთვის მადლობა შეენირა, რომ ასეთი სიძე არგუნა.

სასახლეში განგაში ატყდა. ევდოკიას გამტაცებელს მამა და ძმები დაედევნენ ლაშქრითურთ, სახლში არც მწარედ მტირალი დედა დარჩენილა, თავის მსახურებთან ერთად ქმარსა და შვილებს ისიც დაედევნა. როცა დაინახა, რომ მდევნელნი უკვე ახლოს იყვნენ, დიგენისმა სატრფო მაღალი ხის ორ ტოტს შუა ჩასვა, ხოლო თვითონ სასწრაფოდ შეიარაღდა. იგი მარტო შეებრძოლა ათასს, სასტიკად დაამარცხა და სატრფოს მიმართა, რომ ახლა მან უკვე იცოდა საქმენი მისნი. დიგენისმა ევდოკიას თხოვნა შეუსრულა და მამასა და მის ორ ძმაზე ისე გაიმარჯვა, რომ მათთვის არაფერი უვნია.

მისი სიმამაცით, ბრძოლის ხელოვნებითა და რაინდული ქცევით აღფრთოვანებულმა დუკამ მადლობა შესწირა ღმერთს, რომელმაც იმგვარი სიძე არგუნა, როგორზეც ოცნებობდა. სიმამრმა დიგენისს უკან, თავის სასახლეში დაბრუნება შესთავაზა, სადაც იგი წესისამებრ თანხმობას მისცემდა მის ასულზე დაქორწინებისათვის, არნახულ ქორწილს გადაუხდიდა და მდიდრულ მზითვს გადასცემდა. დიგენისმა უპასუხა, რომ თუმცა მის სიტყვებს და მიპატიჟებაში ვერანაირ საფრთხეს ვერ ხედავდა, გონება, მაინც სხვას კარნახობდა, – საცოლეს მშობლებთან მიყვანას და მათთვის გაცნობას, ხოლო რაც შეეხება მზითვს, მისთვის ევდოკიას უჩვეულო სილამაზე სრულიად საკმარისი იყო, ქონებას კი, რომელიც მამას მისთვის ჰქონდა გადადებული, ცოლისძმებს უთმობდა. დუკას ისლა დარჩენოდა, თანხმობა განეცხადებინა, მან სასიძო დალოცა და თავის ვაჟებთან ერთად შინისაკენ იბრუნა პირი.

დიგენისს პირველად მამა შეეგება დიდძალ ამაღასთან ერთად; პატარძალი მარგალიტებით შემკულ უნაგირზე დასვეს და თავზე

ძვირფასი გვირგვინი დაადგეს, შემდეგ მას დიგენისის ნათესავეები და ახლობლები მიეახლნენ და ერთმანეთზე უფრო ძვირფასი საჩუქრები უძღვნეს. მეფე-დედოფალი სახლისაკენ მრავალფეროვანი მუსიკალური მელოდიებისა და სიმღერების თანხლებით გაემართნენ. ახალგაზრდების ბედნიერებას არა მხოლოდ ადამიანები, არამედ ბუნებაც იზიარებდა; მიწა რომელზეც ფეხს ადგამდნენ, მათ ზეიმს ინანილებდა, ისე ჩანდა, თითქოს სიხარულისგან გონდაკარული ბორცვები ხლტებოდნენ, კლდენი ცეკვავდნენ, ხეები მხიარულობდნენ, მდინარეები წყაროებით ივსებოდნენ, ხოლო ჰაერი სინათლით აივსო და გაბრწყინდა. სასახლესთან მისულებს ქალები გამოეგებნენ საზეიმოდ გამონწყობილ მსახურებთან ერთად, ხოლო როცა სასახლეში შევიდნენ, ამირამ სამიათასი მოყმე წარგზავნა მძახლის ქორწილში დასაპატიჟებლად. დუკა მეორე დღესვე გაემართა მეუღლესა და ვაჟებთან ერთად. ამირამ სტუმრებს საკვირველი შეხვედრა მოუწყო. მაგიდები ტყდებოდნენ მრავალფეროვანი კერძების სიუხვით, ფლეიტისტები სასიამოვნო მელოდიებს უკრავდნენ, მოცეკვავენი სხეულის მოქნილი მოძრაობით ხიბლავდნენ მაყურებლებს, სანახაობანი ერთმანეთს ცვლიდა. მეორე დღით მზითვის ხელშეკრულება შეადგინეს. მდიდრულ საჩუქართა შორის, რომელიც სიმამრმა სიძეს უძღვნა, იხსენიებოდა ნადირობისთვის განვრთნილი თორმეტი თოვლივით ქათქათა მიმინო **აფხაზეთიდან**. თავის მხრივ დიგენისის მშობლებმა, ბიძებმა და ბებიამ პატარძალს უამრავი თვალ-მარგალიტი, ოქრო და ძვირფასი ქსოვილები მიართვეს.

ქორწილი სამ თვეს გაგრძელდა, მხიარულებას ბოლო არ უჩანდა. სამი თვის შემდეგ დუკამ მიიწვია სტუმრად სიძე და მთელი მისი ნათესაობა და თავის ასულს პირველზე კიდევ უფრო მდიდრული ქორწილი გადაუხადა.

შინ დაბრუნებულმა დიგენისმა საზღვრების მახლობლად მეუღლესთან ერთად განმარტოებული ცხოვრება ისურვა. ახალ ადგილას

სამი კარავი დაადგმევინა: ერთში თვითონ ცხოვრობდა ევდოკიასთან ერთად, მეორეში – ევდოკიას მსახური ქალები, ხოლო მესამეში – მისი მსლებელი მოყმენი. როცა აპელატებმა დიგენისის დაქორწინების შესახებ შეიტყვეს, მისი მეუღლის მოტაცება განიზრახეს, მაგრამ დიგენისმა დაამარცხა ისინი და უმონყალოდ ამოჟლიტა. მან დაიპყრო ბაბილონი, ბაღდადი, ტარსი და ველურ ეთიოპიელთა მრავალი სამფლობელო.

აკრიტასის საგმირო საქმეთა შესახებ ხმებმა იმპერატორამდეც მიაღწიეს იმდროისათვის იმპერიას ბასილი მართავდა, რომელმაც სახელი მტრებზე მოპოვებული გამარჯვებებით მოიპოვა. ავტორის აზრით, ბიზანტიის იმპერატორთა დიდება მისი სიკვდილით დამთავრდა, მან ჩაიტანა საფლავში. როცა იგი სპარსელთა წინააღმდეგ საბრძოლველად მიდიოდა, იმ ადგილებში მოხვდა, სადაც დიგენისი იმყოფებოდა. იმპერატორმა მასთან შეხვედრა და მისი გაცნობა ისურვა და წერილით მიიწვია, მაგრამ აკრიტასმა ბასილის მიწვევას ზრდილობიანი უარით უპასუხა იმ მიზეზით, რომ მის მეომართა შორის აუცილებლად იქნებოდნენ გამოუცდელი ადამიანები, რომელთაგან შეიძლებოდა შეუფერებელი სიტყვა მოესმინა, რასაც შედეგად იმპერატორის მსახურთა რიცხვის შემცირება მოჰყვებოდა; ამიტომ დიგენისი მბრძანებელს მასთან მისვლას სთავაზობდა.

მიუხედავად მიწვევაზე უარის მიღებისა და იმ სითამამისა, რომელსაც მბრძანებლის წინაშე დიგენისი გაბედულად ამჟღავნებდა, იმპერატორს წერილი მოეწონა და გადაწყვიტა თავის ქვეშევრდომს თვითონ სწვეოდა. მან თან ასი კაცი იახლა და ყველა მკაცრად გააფრთხილა, რომ სიტყვა, რომელიც აკრიტასს შეურაცხყოფას მიაყენებდა, არცერთს არ უნდა წამოსცდენოდა. საპატიო სტუმარს დიგენისი მარტო შეეგება, პატივის მიგების ნიშნად თავი მდაბლად დაუხარა და სიხარულთან ერთად გაოცებაც გამოხატა იმის გამო, რომ მრავალი ქვეყნის მპყრობელმა მის



წინაშე წარდგომა ისურვა. თავის მხრივ ბასილი აკრიტასის მშვენიერმა აღნაგობამ გააოცა, მან თავისი მეფური ღირსება დაივიწყა, ტახტიდან ჩამოვიდა ჭაბუკს მოეხვია და აღმოხდა ნატვრა – რომანიას ოთხი მაინც ჰყოლოდა დიგენისის მსგავსი რაინდი. შემდეგ მან აკრიტასს შესთავაზა, რაც უნდოდა, ყოველგვარი მორიდების გარეშე, ეთხოვა მისთვის. პასუხად დიგენისმა იმპერატორს უთხრა, რომ პირადად მისი სიყვარულიც ეყოფოდა და რომ საჩუქრების მიღებაზე ბევრად უკეთესი და სასიამოვნო მისთვის მათი გაცემა იყო. ხოლო რაც სათხოვარს შეეხებოდა, მან იმპერატორს სთხოვა, ჰყვარებოდა ქვეშევრდომნი, თანაგრძნო ღარიბთათვის, უკანონობისაგან დაეცვა ისინი, ხოლო უკეთუ უნებლიედ შესცოდებდნენ, შეენწყალებინა; სთხოვა, აგრეთვე, ყოფილიყო რისხვა ერეტიკოსებისა და საყრდენი მართლმადიდებელთა – ეს იქნებოდა უმაღლესი სამართლიანობის იარაღი, რომლითაც ყველა მტრის დამარცხებას შეძლებდა, რადგან მპყრობელობა და მეფობა არა პირად ძლიერებაზეა დამოკიდებული, არამედ ღმერთის, უზენაესის მარჯვენაზე.

ჭაბუკის სიტყვა-პასუხითა და გონიერებით მოხიბლულმა იმპერატორმა მას პატრიკოსობა და საზღვრებისპირა მხარეების მართვის უფლება უბოძა.

დიგენისმა დაბორკილი ცხენის მიყვანა ბრძანა, გაუხედნელისა, რომელმაც ბატონი არ იცოდა და მსახურებს ააშვებინა. ცხენი გაიქცა, მაგრამ ჭაბუკი მას დაენია და ხელი ფაფარში ჩაავლო, მაშინ იგი უკან მოტრიალდა, წიხლებს იკვრევინებოდა და ხმამაღლა ჭიხვინებდა, გაქცევას ცდილობდა, მაგრამ დიგენისმა წარმოაქცია და მიწაზე გაშხლართული დატოვა. იმპერატორმა და მისმა მხლებლებმა ამ სანახაობით გაოცების გამოხატვაც ვერ მოასწრეს, რომ ტევრიდან ლომი გამოვიდა, იმპერატორიც კი შეშინდა და გაქცევა სცადა, მაგრამ

დიგენისი მეყსეულად მხეცს თავს დაესხა, ხელი უკანა თათში ჩაავლო, მძლავრად შეანჯღრია და მინაზე დაანარცხა. შემდეგ მან სულგაფრთხობილი მტაცებელი ხელში კურდღელივით აიყვანა და იმპერატორს მიართვა, მან კი ღმერთი ადიდა, რომელმაც ამგვარი ვაჟკაცის ხილვის ბედნიერება მიანიჭა, დიგენისს გადაეხვია და ერთმანეთს დაემშვიდობნენ. იმპერატორი თავის ლაშქართან დაბრუნდა, ხოლო ჭაბუკმა საყვარელ მეუღლეს მიაშურა.

**წიგნი V.** მართალია, ახალგაზრდობას თან ახლავს ამაო ტკობათა განცდისაკენ სწრაფვა, მაგრამ ვინც თავისთავის მართვას შეძლებს, იგი ვნებათაგან დაწყლულებას გადაურჩება. სამწუხაროდ აკრიტასმაც, რომელიც ღმრთისაგან ყოველმხრივ დაჯილდოებული იყო, სადავე მიუშვა ახალგაზრდულ მისწრაფებებს და მრუშობით შესცოდა. მაგრამ იგი მსწრაფლ შეიპყრო სინანულის მძაფრმა განცდამ და ვინმე კაპადოკიელს, რომელიც გზად შემოხვდა, გულწრფელად უამბო ამ მძიმე ცოდვით როგორ დაეცა. ერთხელ, როცა იგი თხუთმეტი წლისა იყო და ცხენზე ამხედრებული ჩვეულებისამებრ მარტო მიდიოდა არაბეთის უწყლო დაბლობზე, საშინლად მოსწყურდა, ამ დროს დაინახა ხე და მის სიახლოვეს დაჭაობებული ადგილი, იფიქრა, რომ იქ წყალს იპოვნიდა და არც შეცდა. ფინიკის პალმის ძირას მშვენიერი წყარო მოჩუხჩუხებდა. მაგრამ ამ დროს საშინელი ქვითინის ხმა მოესმა და უჩვეულო სილამაზის ქალიშვილი იხილა, რომელიც თავდაპირველად მოჩვენება ეგონა, შიშისგან თმა ყალყზე დაუდგა. მაგრამ ქალიშვილი ფეხზე წამოხტა, ცრემლები შეიმშრალა, სამოსი გაისწორა და როგორც მშველელს, რომელიც ღმერთმა ამ უდაბურ ადგილისაგან თავის დასალწევად გამოუგზავნა, ისე მიმართა. დიგენისმა შვებით ამოისუნთქა, რადგან დარწმუნდა, რომ მის წინაშე არა მოჩვენება, არამედ ხორცშესხმული ადამიანი იდგა, წყაროს წყლით წყურვილი მოიკლა და ქალიშვილს

სთხოვა ეამბნა, როგორ მოხვდა ამ უკაცრიელსა და უდაბურ ადგილას. აღმოჩნდა, რომ იგი იყო ქალაქ მეფერკეს ამირას ასული, რომელსაც მამამისის ტყვე რომაელი შეუყვარდა. ქალიშვილმა მას ბორკილები შეხსნა, ციხიდან გამოიყვანა, მამამისის საუკეთესო ცხენები მისცა და დედის თანხმობით, რადგან მამა ჩვეულებისამებრ საბრძოლველად იყო წასული, სახელოვან სირიელთა უფროსობა ჩააბარა. მაგრამ ახალგაზრდამ, რომელიც თავს დიდებული სტრატეგოსის შვილს უწოდებდა, სამშობლოში დაბრუნება მოინდომა და ქალიშვილიც დაითანხმა თან გაჰყოლოდა, რადგან, როგორც უმტკიცებდა, მის გარეშე ერთ დღესაც კი ველარ გაძლებდა. გასაქცევად ხელსაყრელი ჟამი მაშინ დაუდგათ, როცა ქალიშვილის დედას მძიმე სნეულება შეეყარა და მათთვის არავის ეცალა. ღამით დაადგნენ გზას წინასწარ განმზადებული ცხენებით. რამდენიმე დღის შემდეგ ამ წყაროსთან მოაღწიეს, სადაც სამი დღე-ღამის განმავლობაში დარჩნენ. მესამე ღამეს ქალიშვილმა იგრძნო, რომ მისი სატრფო უჩუმრად ადგა, ცხენები შეკაზმა და სახლიდან წამოღებული ოქრო და ძვირფასეულობა მოკრიბა, ქალიშვილიც სწრაფად წამოდგა და მამაკაცის სამოსლით შეიმოსა, რომლითაც სახლიდან გამოიპარა, მაგრამ მისი შეყვარებული სწრაფად მოახტა ცხენს, მეორეც თან გაიყოლა და გზას დაადგა. როგორ არ ევედრა ქალიშვილი, რომ მხეცთა საჯიჯგნად უდაბნოში მარტო ნუ დატოვებდა, მაგრამ ამაოდ, პასუხიც არ აღირსა, თვალს ისე მიეფარა. ქალიშვილი მართლაც უმწეო მდგომარეობაში იყო, მას არც უკან, მშობლიურ სახლში დაბრუნება შეეძლო და არც მოლაღატის მოძებნა. იგი უკვე ათი დღე იყო, რაც ამ პალმასთან ცხოვრობდა და დიგენისის გამოჩენამდე ძე ხორციელი არ უნახავს გარდა ერთი მოხუცისა, რომელიც არაბიაში მიიჩქაროდა არაბებთან ტყვედ ჩავარდნილი შვილის გამოსახსნელად. მან ქალიშვილს უამბო, რომ ქალიშვილის მიერ აღწერილ მაღალსა და ქერა, ცხენზე

ამხედრებულ ახალგაზრდას, რომელსაც მეორე ცხენი მიჰყავდა, ხუთი დღის წინ შეხვდა. მას მუსური დაესხა თავს და ცხენიდან ჩამოაგდო და რომ არა ჭაბუკი აკრიტასი, აუცილებლად მოკლავდა. დაამთავრა თუ არა ქალიშვილმა თავის ამბის თხრობა, ჭაობის ბარდებიდან ასზე მეტი შუბით შეიარაღებული არაბი გამოჩნდა, რომელნიც დიგენისს დაესხნენ თავს. მან ბევრი მათგანი ამოხოცა, ზოგიერთებმა იცნეს, სახელოვანი გმირი და შეშინებულები უკან მოუხედავად გაიქცნენ. ამ ბრძოლის დროს ქალიშვილი ფინიკის ხეზე იყო ასული და ყოველივეს შესანიშნავად ხედავდა. მან გამარჯვებულს სთხოვა, რომ თუ მართლაც ის დიდებული გმირი აკრიტასი იყო, რომელმაც მისი სატროფო სიკვდილისაგან იხსნა, სასიკვდილოდ ნურც მას გასწირავდა და თან წაეყვანა, თან შეევედრა, სიმართლე ეთქვა, მართლა გადაურჩა თუ არა მისი მოღალატე მუსურის მახვილს.

დიგენისი გააოცა ქალიშვილის დარღმა იმ კაცის ბედზე, ვინც მშობლებს განაშორა, სიმდიდრე წაართვა და უდაბნოში მიტოვებით სასიკვდილოდ გასწირა. მაშინ აკრიტასი მიხვდა, რომ **ქალებს ბევრად უფრო ძლიერად უყვართ, ვიდრე მამაკაცებს**. აკრიტასმა ქალიშვილი დაამშვიდა და შეჰპირდა, რომ არა მხოლოდ თან წაიყვანდა, არამედ კაცს, რომელიც ასე უყვარდა, მოძებნიდა და მის ცოლად შერთვას აიძულებდა. აღმოჩნდა, რომ როგორც ერთ დროს დიგენისის მამას. ამ ქალიშვილსაც სიყვარულის გამო თავის სარწმუნოება დაეთმო და ქრისტიანად მონათლულიყო. ამის მოსმენამ დიგენისი ქალისადმი დაუძლეველი ვნებით აღავსო, მასთან შებრძოლება სცადა. როგორც ავტორი ამბობს, ეყოფოდა ძალა ბალახს გაეძლო მოდებული ცეცხლისათვის? მან ქალიშვილი ცხენზე შემოისვა და გზას გაუდგინე, მაგრამ პირველივე შესვენებისას ვნებით აღმოდებულმა ჭაბუკმა თავი ველარ შეიკავა და თუმცა ქალი მთელი ძალ-ღონით იცავდა თავს, თავისი

ბინიერი სურვილი მაინც აისრულა. ასე წაბილნა, გზაც, რომელიც გამოიარა სატანის მხარდაჭერით, ასე დაავინყა მას ადამის მოდგმის ბოროტმა მტერმა უზენაესის არსებობა და საშინელი სამსჯავრო, როცა ჩვენი ყველა საქციელი ნათლის ანგელოზთა და ყოველი კაცის წინაშე გამჟღავნდება და განცხადდება.

აკრიტასმა ქალიშვილი ქალკურგიაში ჩაიყვანა, სადაც მისი შემცდენელი მოძებნა. იგი მართლაც ამირა ანტიოქეს ვაჟი აღმოჩნდა, თვითონ ამირა სპარსელთა ტყვეობაში გარდაცვლილიყო. დიგენისმა ახალგაზრდას ქალიშვილის ცოლად შერთვა მოსთხოვა და მკაცრად გააფრთხილა, რომ თუ ერთხელ კიდევ შეეცდებოდა მის მოტყუებას და შეურაცხყოფას, პასუხს სასტიკად აგებინებდა.

**წიგნი VI.** პოემის მეექვსე წიგნს პოეტური შესავალი აქვს, რომელიც თავად პოემის მთავარი პერსონაჟის დიგენისის პირითაა გადმოცემული, სახელდობრ შესავალში გმირი მაისის თვის, რომელიც დანარჩენმა თვეებმა თვითონ აირჩიეს წლის მეფედ, გამორჩეულ სილამაზეს აღწერს. მინიერ სილამაზეთა შორის ველაზე ტკბილი ახალგაზრდა მაისია, თვალი ყველა ცოცხალი მცენარისა და და ყვავილთა ბრწყინვალეობა. იგი პატარ-პატარა მდელოებს მშვენებას აძლევს, გაზაფხულის სინითლეს ჩუქნის, ლტოლვას აღვიძებს; მას ძალუძს დედამინა მონმენდილ ცას დაამსგავსოს დაფარავს და შეამკობს რა მას ვარდებითა და ნარცისებით.

სწორედ ამ მომხიბვლელ თვეში გადაწყვიტა დიგენისმა ახალი სამკვიდრებელის მოძებნა მშვენიერ მეუღლესთან ერთად. მათ საუცხოო მდელო იპოვეს და თავიანთი კარავი იქ დადგეს, კარვის გარშემო დიგენისმა მცენარეები დარგო, ერთმანეთზე უფრო ლამაზი. ამ ადგილას მაღალი ლერწმები ხარობდნენ, ხოლო მდელოს შუაგულში ცივი წყარო მოედინებოდა. კორომში სხვადასხვა ფრინველი მკვიდრობდა; ფარშევანგები, თუთიყუშები, გედები. რტოებიდან თუთიყუშთა გალობა

ისმოდა, გუბურებში გედები დაცურავდნენ, ფრთებდაკეცილი ფარშევანგები ყვავილთა შორის ქედმაღლურად დასეირნობდნენ, დანარჩენი ფრთოსნები, როგორც სურდათ, ხიდან ხეზე, ტოტიდან ტოტზე დაფრინავდნენ. მაგრამ ყველას სილამაზით მაინც ევდოკია აღემატებოდა, სახის ფერით ყვავილებს ჩრდილავდა, მისი ლოყები გაშლილ ვარდს ჰგავდა, ხოლო ბაგენი ვარდის ნორჩ კოკორს, წარბებამდე ჩამოშლილი კულულები ოქროსფერ სხივებს ასხივებდნენ.

ახალგაზრდების სანოლთან სხვადასხვა სურნელება იკმეოდა: მუსკატისა (ჯავზისა), ქაფურისა, კასიასი, ამბრისა და მუშკისა. ერთხელაც, როცა დიგენისს ბუღბუღებისა და სხვა ჩიტების ტკბილი გალობით გაბრუებულს თითქმის შუადღემდე ეძინა, ევდოკია წყურვილის მოსაკლავად და გასაგრილებლად წყაროსთან ჩავიდა, ჭაბუკის სახით დრაკონი გამოეცხადა და მოჩვენებითი სილამაზით მისი ცდუნება მოინდომა, მაგრამ ქალი მაშინვე მიხვდა სინამდვილეში ვინც იდგა მის წინ. მაშინ დრაკონმა ძალის გამოყენება სცადა, შეძრწუნებულმა ქალმა საშველად თავის მეუღლესა და მბრძანებელს უხმო. როდესაც მისკენ გამოქანებული დიგენისი დაინახა, გაშიშვლებული მახვილით ხელში, დრაკონმა თავისი ნამდვილი სახე დაიბრუნა. საზარელი სანახავი იყო უზარმაზარი ურჩხული სამი ცეცხლოვანი თავით, თითოეული თავი ცეცხლს აფრქვევდა, მისი მოძრაობისას ირგვლივ ყველაფერი დგანდგარებდა, თითქოს მიწა იძრაო და ხეები ირყეოდნენ. მსუქანი იყო, თუმცა ბოლოში მთლიანად ვინროვდებოდა და მახვილი კუდი ჰქონდა. ურჩხული ჯერ შეიკუმშა, შემდეგ კვლავ გაიშალა და ვებერთელა სიმძიმით დიგენისს თავს დაატყდა, მაგრამ მან შეინარჩუნა რა სიძლიერე სულისა, წამითაც არ დაბნეულა, ისეთი ძალით მოუქნია მახვილი, რომ სამივე თავი ერთად წააცალა, ხოლო ტანი მიწაზე უღონოდ გაიშხლართა.

აკრიტასმა ბიჭებს დრაკონის გათრევა უბრძანა, ხოლო თვითონ ისევ საწოლს მიაშურა, რადგან გამოძინება ვერ მოასწრო, თუმცა ძილი არც ამჯერად დასცალდა. მას ისევ მეუღლე ეძახდა საშველად, რომელიც კორომიდან უეცრად გამოსული ლომის გამო საშინლად დაფრთხა. დიგენისს ჩვეულებისამებრ, არც ლომის მოკვლა გასძნელებია, მას სული კომბლის თავში ჩარტყმით გააფრთხობინა. ევდოკიამ მეუღლეს შესამსუბუქებლად იმ შიშისა, რომელიც საზარელი ცხოველების გამოჩენამ განაცდევინა, კითარაზე დაკვრა სთხოვა. დიგენისმა სურვილი აუსრულა და სიმებს ჩამოჰკრა, ხოლო ევდოკიამ სიმღერა წამოიწყო სიყვარულზე, ტკბილად ჟღერდა მისი ხმა, რომელიც შორიახლოს მიმავალმა მხედრებმაც მოისმინეს. სულ ორმოცდახუთი მხედარი იყო. მათი მეთაურები სახელგანთქმული აპელატები – ახალგაზრდა იოანაკისი, მოხუცი ფილოპაპოსი და კინამი იყვნენ. სიმღერამ აპელატებს გზიდან გადაახვევინა, ხოლო როცა მდელიოზე საკვირველი სილამაზის მქონე ქალიშვილი იხილეს, რომელსაც მხოლოდ დიგენისი ახლდა, ჭაბუკის დაშინება და ქალის გატაცება მოინდომეს და თავიანთი სიმრავლის იმედით ამონვდილი მახვილებით მათკენ გაექანნენ. შიშისაგან აცახცახებული ევდოკია დიგენისმა დაამშვიდა სიტყვებით, რომ უფლის მიერ შეერთებულებს ადამიანები ვერ დააშორებდნენ და კომბლითა და ფარით შეიარაღებული თავს დაესხა მომხდურებს. ვისაც კი მისი კომბალი შეეხო, სულმა ყველას სხეული დატოვა. ცოცხლად გადარჩენილები დაფრთხნენ და გაქცევა სცადეს, მაგრამ დიგენისი, მიუხედავად იმისა, რომ ცხენზე ამხედრება ვერ მოასწრო, მათ მაინც დაეწია და რისხვით ანთებულმა არავინ შეიწყალა.

მეორე დილით როცა დიგენისი მდინარის პირას ხის ძირში იჯდა და მეუღლეს ელოდებოდა, რომელსაც სამოსი უნდა მოეტანა, სამი მდიდრულად ჩაცმული მშვენიერი მხედარი მიუახლოვდა და ჰკითხა, ხომ

არ ენახა მეომრები, რომლებიც ამ გზით მიდიოდნენ. აკრიტასმა, ისე რომ შიში ოდნავადაც არ უგრძვნია, მშვიდად უპასუხა, რომ ისინი ნანახი ჰყავდა, რადგან მისი ცოლის მოტაცება განიზრახეს, ხოლო იმის შესახებ თუ რა ბედი ეწიათ მათ, მოგვიანებით შეიტყობდნენ. მგზავრებმა არ დაიჯერეს, რომ ერთი კაცი, ისიც შეუიარაღებელი და ქვეითი, რიცხვით ბევრად აღმატებულ, თანაც ბრძოლაში გამოცდილსა და მამაც მხედრებს გაუსწორდებოდა. ამიტომ დიგენისს მათგან ერთ-ერთან, რომელსაც თვითონ აირჩევდა, ორთაბრძოლაში ჩაბმულიყო და მაშინ ყველაფერს შეიტყობდნენ. აკრიტასს გაელიმა და ბრძოლაში სამივე ერთად გამოიწვია, ფეხზე წამოდგა და კომბალი და ფარი მოიმარჯვა. მაგრამ მათგან პირველმა დიგენისს განუცხადა, რომ უთანასწორო ბრძოლას ჩვეულნი არ იყვნენ არც ის, ფილოპაპოსი და არც მისი მხლებელნი – იოანაკისი და კინამი, ამიტომ უცილობლად ერთ-ერთი უნდა ამოერჩია. მაშინ დიგენისმა ორთაბრძოლაში თვითონ ფილოპაპოსი გამოიწვია. ისიც ცხენიდან ჩამოხდა, მახვილი იშიშვლა და ისეთი ძალით მოუქნია, რომ ფარისგან, რომელიც აკრიტასმა მოქნეულ მახვილს დაახვედრა, ხელში მხოლოდ მისი სახელურიღა შერჩა. გახარებულმა იოანაკისმა და კინამმა მოხუცი გაამხნევეს, მაგრამ ვიდრე იგი მახვილს მეორედ მოუქნევდა, დიგენისმა კომბალი ჩაარტყა თავში, რომელიც თავის ქალას უცილობლად გაუპობდა, ფარით რომ არ დაეფარა. დარტყმის სიძლიერემ მას თავბრუ დაახვია, წაბარბაცდა და დაეცა.

მაშინ იოანაკისი და კინამი აკრიტასს ერთად დაესხნენ თავს, რადგან საკუთარი აღარ ჰქონდა, დიგენისმა ფარი ფილოპაპოსს გამოაცალა ხელიდან და დასახვედრად გაემზადა. ბრძოლა მართლაც შეუპოვარი გამოდგა. დიგენისი დარწმუნდა, რომ საქმე გამოცდილ მეომრებთან ჰქონდა, თუმცა ძალით ვერ აღემატებოდნენ, მის მიერ მოქნეულ კომბალს გაურბოდნენ და დამფრთხალი ცხვრებივით ჯერ შორიდან უცქეროდნენ,



ხოლო შემდეგ, ვითარცა მყეფარე ძალები ერთად მიცვივდებოდნენ. ბრძოლა საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. მაშინ დიგენისი მეუღლემ გაამხნევა, რომელიც შორიდან უყურებ იმასდა, რაც ბრძოლის ველზე ხდებოდა. ძალამოცემულმა აკრიტასმა იოანაკისს ისე მძლავრად ჩაარტყა კომბალი მკლავზე იდაყვს ზემოთ, რომ ძვალი გადაუმსხვრია, მკლავი ჩამოეკიდა და მახვილის დაჭერა ველარ შეძლო. რაც შეეხება კინამს, რომელმაც სიმამაცით გამორჩევა მოინდომა და მისკენ ცხენით გაემართა, დიგენისმა კომბალი ქეჩოში ჩასცხო და ცხენიდან ჩამოაგდო; შიშმა იმისა, რომ გამარჯვებული სასტიკად გაუსწორდებოდა, კინამი დაამუნჯა და მხოლოდ მინიშნება შეძლო იმისა, რომ თავს დამარცხებულად თვლიდა.

ამასობაში გონსმოსულმა ფილოპაპოსმა შერიგება სთხოვა და შესთავაზა, რომ, თუკი მოისურვებდა, სამივე მსახურად დაუდგებოდა, მაგრამ აკრიტასმა მათი სამსახური არ მოინდომა და უთხრა, რომ შეეძლოთ თავიანთი გზით წასულიყვნენ. მაშინ დამარცხებულებმა, რომელნიც მისგან შურისძიებასა და უცილობელ სიკვდილს მოელოდნენ, ხოტბა შეასხეს მის დიდსულოვნებასა და ღმობიერებას, რომელიც აკრიტასს საგმირო საქმეებზე ნაკლებად როდი ამშვენებდა და გზას გაუდგნენ.

იოანაკისმა და კინამმა, რომელნიც არც სხეულითა და არც გონებით დავაჟკაცებულნი ჯერ კიდევ არ იყვნენ, გაიხსენეს რა გარდახდილი ბრძოლა, დაასკვნეს, რომ მათ არა ჩვეულებრივი კაცი, არამედ ამ ადგილებში მცხოვრები ჯადოქარი, ან სული შეებრძოლა, რადგან მას რომ სხეული ჰქონოდა, სიკვდილის შეეშინდებოდა და მახვილის ქვეშ, ვითარცა უხორცო აჩრდილი, არ დადგებოდა. ხანდაზმული ფილოპაპოსი ახალგაზრდებს არ დაეთანხმა, მას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ბრძოლა ჩვეულებრივ, ხორციელ ადამიანთან მოუხდათ, ოღონდ ქრისტესაგან

ყოველგვარი ნიჭით უხვად დაჯილდოებულთან. ამიტომ თავი მხოლოდ იმით უნდა ენუგეშებინათ, რომ სამარცხვინო დამარცხების მოწმე არ ჰყავდათ. მან მეგობრებს აკრიტასისათვის სამაგიეროს მისაგებად შესთავაზა მოეძებნათ თავიანთი მეომრები, რადგან შეუძლებელი იყო დიგენისს მართლაც ყველა ამოეხოცა, ერთად შეკრებილიყვნენ და მტერს ღამით უეცრად დასხმოდნენ თავს და თუ გამარჯვებას მოიპოვებდნენ, წყენა და წუხილი თავისთავად გაუქრებოდათ, ხოლო მშვენიერი ევდოკია იოანაკისს დარჩებოდა.

ახალგაზრდებმა ფილოპაპოსის გეგმა მოიწონეს, ბორცვზე ავიდნენ და შეკრების ნიშნად ჩირაღდნები დაანთეს, რომლებიც მთელი ღამის განმავლობაში იწვოდნენ, მაგრამ მათი რაზმიდან ერთიც კი არ გამოჩენილა. ჩანდა, დიგენისს მართლაც ყველა დაეხოცა. მაშინ იოანაკისმა და კინამმა ფილოპაპოსს ურჩიეს მაქსიმოსთან წასულიყო და დახმარება მისთვის ეთხოვა. მაქსიმო იმ ამაზონი ქალების რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთა წინაპრებიც თავის დროზე ალექსანდრე მაკედონელმა ბრახმანთა ქვეყნიდან ჩამოიყვანა; ფიზიკური ძალით იგი წინაპრებს ტოლს არ უდებდა, ხოლო ბრძოლა მისთვის ცხოვრებაში ყველაზე დიდ სიამოვნებას წარმოადგენდა. ფილოპაპოსმა მაქსიმოს, რა თქმა უნდა, სიმართლე დაუმალა და თავს გადახდენილი ამბიდან მხოლოდ ის უამბო, როგორ იხილეს უმშვენიერესი ქალწული, რომელიც იოანაკისსათვის მოინდომეს, მაგრამ ვილაც ჭაბუკმა მათ გზა გადაუღობა. მაქსიმოს ძალიან გაუხარდა, რომ ბრძოლაში მონაწილეობის მიღება მოუხდებოდა, თავისი მსახური მელიმიძისი იხმო და აპელატებიდან ყველაზე მამაცი ასი მხედრის გამორჩევა დაავალა.

მელიმიძისმა დავალება შეასრულა, შეკრებილ რჩეულ ას მეომარს მაქსიმო და ფილოპაპოსი წარუძღვნენ, მათ იოანაკისი და კინამიც შეუერთდნენ. ფილოპაპოსმა, რომელსაც ამაზონმა უფროსობა მიანდო,

ჯერ იმის გაგება გადაწყვიტა, სად იმყოფებოდა ქალიშვილი და ის, ვინც მას ფლობდა და დასაზვერად მელიმიძისსა და კინამთან ერთად წავიდა. ამ დროს დიგენისი სადარაჯოდ იყო გამოსული და კლდეზე იჯდა. ფილოპაპოსმა მელიმიძისი გააფრთხილა, რომ მასთან პირისპირ შებმას აზრი არ ჰქონდა, ამიტომ ჯერ გაეგოთ, სად ჰყავდა გადამალული ქალიშვილი და შემდეგ მიეცათ დანარჩენებისთვის ნიშანი, როგორც მოლაპარაკებულები იყვნენ. მაგრამ მან ითაკილა დიგენისთან შებრძოლების გარეშე უკან გაბრუნება, რადგან ლაჩრის სახელის მოხვეჭას სიკვდილი უჯობდა და დიგენისასკენ შუბით გაექანა, რომელმაც იგი მოხერხებულად აიცილინა და საპასუხოდ ისე ჩასცხო კომბალი, რომ ცხენიდან ჩამოაგდო. ვიდრე დიგენისი იმას უყურებდა შეძლებდა თუ არა დამარცხებული მტერი წამოდგომას, გვერდიდან ფილოპაპოსი მიეპარა და ცხენი დაუჭრა, მაგრამ თვითონ აკრიტასთან შებმა ვეღარ გაბედა და გაიქცა. გაქცეულებს დადევნებულმა დიგენისმა მდინარის პირას შეიარაღებული რაზმი დაინახა. იგი სასწრაფოდ უკან დაბრუნდა, ევდოკია საიმედო ადგილას ბორცვზე აიყვანა და გამოქვაბულში გადამალა, სადაც მას აღარც საფრთხე ემუქრებოდა და ბრძოლისთვის თვალყურის დევნებაც შეეძლო, ხოლო თვითონ მდინარისკენ გაემართა და ფონს დაუწყო ძებნა მეორე ნაპირზე გადასასვლელად. იგი შეამჩნიეს და მაქსიმოს დაანახეს. როცა ქალმა გაიგო, რომ, თვითონაც მარტო რაზმი არ ახლდა და მარტო იბრძოდა, გადაწყვიტა შებმოდა და გამარჯვებაში წინასწარ დარწმუნებული თავისიანებს დიგენისის მოკვეთილი თავის მიტანას შეჰპირდა. აკრიტასმა აღარ დაუცადა იმას, როდის გადმოლახავდა მაქსიმო მდინარეს და რადგან ეს უფრო სამართლიანი იქნებოდა, თვითონ გადავიდა მეორე ნაპირზე. სურდა რა შეენყალებინა მეტოქე, რადგანაც ქალი იყო, დიგენისმა მახვილით მხოლოდ მის ცხენს წააცალა თავი.

შეშინებულმა მაქსიმომ სიცოცხლის შენარჩუნება სთხოვა. ჭაბუკმაც დაინდო მისი სილამაზის გამო და დანარჩენებს მიმართა. თავდაპირველად მეომრებმა მათთან შებრძოლება სცადეს, მაგრამ მალევე მიხვდნენ, ვისთან ჰქონდათ საქმე და ბევრმა მათგანმა უეჭველ სიკვდილს თავი გაქცევით დააღწია. როცა ბრძოლის ველზე მხოლოდ გამარჯვებული დიგენისი დარჩა, კორომიდან ოთხი აპელატი – კინამი იოანაკისთან და ფილოპაპოსი ლეანდროსთან ერთად გამოვიდა. მათ დიგენისის ალყაში მოქცევა და ამ გზით მისი განადგურება მოინდომეს, მაგრამ ამას გამოდგა მათი მცდელობა, აკრიტასი, პირიქით, თვითონ დაესხა მათ თავს და ისე გააქცია, რომ ვერცერთმა თავის შემობრუნება და უკან მოხედვა ვეღარ გაბედა. ჭაბუკმა მხოლოდ დასცინა მათ და აღარ დადევნებია, რადგან გაქცეულის შებრალება წესად ჰქონდა. იგი მარტოდ დარჩენილ მაქსიმოს მიუბრუნდა და განუმარტა, რომ რადგანაც ქედმაღლები ღმრთისგან იდევნებიან, ამიერიდან ყოყობასა და საკუთარი ძალით თავმოქმედებაზე ხელის აღება ურჩია. პასუხად მაქსიმომ უთხრა, რომ არასოდეს ენახა მისი მსგავსი გმირი, და რომ მან ახლა უკვე იცოდა მისი საოცარი ძალისა და ადამიანთა მიმართ ღმობიერი დამოკიდებულების შესახებ, ფეხებზე მოეხვია, მარჯვენა ხელზე ემთხვია და სთხოვა ნება მიეცა აქედან ცხენით წასულიყო და შეჰპირდა, რომ მეორე დღით მარტო დაბრუნდებოდა ორთაბრძოლისათვის, რადგან უფლება ჰქონდა მასაც ეჩვენებინა თავის ძალა და საბრძოლო ხელოვნება.

დიგენისი დაეთანხმა. უმხედროდ დარჩენილი ცხენებიდან, ერთ-ერთი დაიჭირა და მაქსიმოს მიჰგვარა. მეორე დღეს მაქსიმო მართლაც მარტო მოვიდა. ბრძოლის დაწყების წინ ისინი ერთმანეთს მეგობრულად მიესალმნენ და გადაეხვივნენ. მართალია, ქალთან შებრძოლება დიგენის სამარცხვინოდ მიაჩნდა, მაგრამ მაქსიმო ჩვეულებრივი ქალი არ იყო.

ხელჩართული ბრძოლისას აკრიტასი მის დამარცხებას სერიოზული ზიანის მიყენების გარეშე ცდილობდა, ამიტომ თითებს ზემოთ, მაჯაზე დარტყმით მახვილი ხელიდან გააგდებინა. შეშინებული მაქსიმო ცახცახმა აიტანა, დიგენისმა იგი დაამშვიდა, მაგრამ კარგად რომ სცოდნოდა მისი ძალის შესახებ, ამორძალის ცხენი ზურგზე მახვილის ერთი დარტყმით შუაზე გააპო. მაშინ მაქსიმომ მას მეგობრობა შესთავაზა და განუცხადა, რომ, რადგან დამარცხდა, ქალწულობას, რომელსაც ამდენი ხანი უფრთხილდებოდა, მას მიუძღვნა. თავდაპირველად დიგენისმა უარი უთხრა, მაგრამ ქალწულის სილამაზემ მაინც აცდუნა და თავის მშვენიერ მეუღლეს უკვე მეორედ უღალატა.

როცა მეუღლესთან დაბრუნდა, ევდოკიამ უთხრა, რომ მადლობელი იყო მისი, თუმცა ამავედროულად ეჭვი ანამებდა, რას აკეთებდა მარტოდ დარჩენილ მაქსიმოსთან და სთხოვა, თუ ცოდვა უკვე ჩადენილი ჰქონდა, მეორედ მაინც ნულარ შესცოდავდა, რადგან სამართლიანი მსაჯული – ღმერთი დასჯიდა. ცოლის ეჭვების გასაფანტად, დიგენისმა უამბო როგორ დაჭრა ხელში მაქსიმო, როგორ მოდიოდა ქრილობიდან უხვად სისხლი, როგორ ჩაიყვანა იგი მდინარეზე, როგორ განუბანა ქრილობა და როგორ შეუხვია, რის გამოც შეაგვიანდა.

ევდოკიამ ნაამბობი სიმართლედ მიიჩნია და დამშვიდდა. სამაგიეროდ გაშმაგებამ დიგენისი მოიცვა, იგი სასწრაფოდ ცხენს მოახტა, მაქსიმოს დაედევნა და დაენია თუ არა, შეუბრალებლად მოკლა.

ამის შემდეგ დიგენისმა საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა გადაწყვიტა, ევფრატისაკენ გაემართა და მის მახლობლად საუცხოო სასახლე ააგო.

**წიგნი VII.** ევფრატი ყველა სხვა მდინარეს ჩრდილავს სილამაზით; იგი კეთილსურნელოვანია, რადგან სათავეს სამოთხიდან იღებს და გრილი, ვითარცა დამდნარი თოვლი. მისგან გაყვანილი არხით მორწყულ მიწაზე

დიგენისმა თვალწარმტაცი ბალი და თავისებური კორომი გააშენა, რომელიც ოთხივე მხარეს აღმართული კედლით იყო დაცული. კედლების შიგნით მცენარეებს ყვავილებით მდიდრულად დაფარული რტოები დაეხარათ და თითქოს სილამაზეში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. ყველგან მოჩანდა საუცხოო მტევნები ყურძნისა, ნაყოფით დახუნძლული ტოტები მიწამდე ეშვებოდნენ, ხოლო ხეებს ქვემოთ მდელი იშლებოდა, ყველა ფერით აჭრელებული. აქ უამრავი ჯიშის ყვავილს ნახავდით, მენამული ფერის ვარდებს, ნარცისებს, იებს, როგორც წინა მამულში, აქაც ცურავდნენ წყალში გედები, ქედმაღლურად სეირნობდნენ ფარშევანგები, ტკბილად გალობდნენ პატარა ჩიტები...

საუცხოო ბალის შუაგულში სასახლე იდგა, დიდი და გათლილი ქვებით ნაგები, მძიმე კოლონებითა და ფანჯრებისათვის დატოვებული ლიობებით. მისი სახურავი დიგენისმა ძვირფასი მარმარილოს მოზაიკით შეამკო, რის გამოც ბრწყინვალეობას გამოსცემდა. სახლის გვერდით, ორივე მხარეს საუცხოო ტრიკლინიები (სასადილოები) ააშენა, ოქროს კამარებით; მათზე სახელგანთქმულ გმირთა საგმირო საქმენი იყო გამოსახული, ოსტატურად, ოქროს მოზაიკით. გმირთა გალერეა სამსონით იწყებოდა, კერძოდ, როგორ გაემართა იგი უცხოტომელთა წინააღმდეგ, როგორ გახლიჩა შუაში ლომი, როგორ გადაიტანა მტრის ქალაქის ბჭენი ურდულებითურთ მთაზე, როგორ დასცინოდნენ ციხეში ჩავარდნილს და ბოლოს როგორ ჩამოაქცია მტრებს თავზე ტაძარი და თვითონაც დაიღუპა.

შუაში დავითი იყო, რომელსაც ხელში გასასროლად გამზადებული შურდული ეჭირა, იქვე იდგა გიგანტური აგებულების გოლიათი, შემდეგ გამოსახული იყო მათი შებრძოლების ყველა მოვლენა, როგორ ზუსტად მოარტყა დავითმა შუბლში შურდულიდან გასროლილი ქვა, როგორ წაიქცა გოლიათი, როგორ მიირბინა წაქცეულთან დავითმა და როგორ

მოკვეთა თავი მახვილით. შემდეგ საული, რომელიც დავითს განურისხდა, როგორ გადაურჩა იგი მის მრისხანებას, და ღმრთის შურისძიება საულზე. აქვე იყო გამოსახული აქილევსის ლეგენდარული ბრძოლანი, აგამემნონის სილამაზე, ბრძენი პენელოპე და სასიძოთა დახოცვა, მამაცი ოდისევსი საზარელი კიკლოპის წინააღმდეგ, ცეცხლოვანი ქიმერას მოკვლა ბელერეფონტის ხელით; და ალექსანდრე დიდის საქმენი: გამარჯვება დარიოსზე, შეხვედრა ბრძენთა შორის ბრძენ დედოფალ კანდაკესთან, სტუმრობა ბრახმანებსა და ამაზონებთან და სხვა დანარჩენიც. არც მოსეს სასწაულები და ეგვიპტელთათვის თავს დატეხილი უბედურებანი იყო დავინწყებული, არც იუდეველი ხალხის ეგვიპტიდან გამოსვლა, ხალხის უსამართლო დრტვინვა უდაბნოში და სხვა მრავალი.

ეზოში დიგენისმა წმ. მოწამე თეოდოროსის სახელობის ტაძარი ააგო, სადაც მამა დაასაფლავა, როცა მისი ცხედარი კაპადოკიიდან მოასვენეს. პირველი მწუხარება მას მამის დაუძღურების ცნობამ განაცდევინა, სასწრაფოდ გაემართა მშობლიური სახლისაკენ, მაგრამ როცა შინაურები უნუგეშო ტირილით გამოეგებნენ, მიხვდა, რომ მამას ცოცხალს ვეღარ მიუსწრო. ქმრის სიკვდილის შედეგ დედა მასთან გადასახლდა.

გლოვის დამთავრების შემდეგ ხალხით სავსე დღეები ერთმანეთს მისდევდნენ. სადილის ბოლოს დიგენისი ხშირად კითარას უკრავდა, ხოლო მისი მზეთუნახავი მეუღლე ტკბილი ხმით სიმღერას აყოლებდა. ხოლო როცა საცეკვაო მელოდიას დაუკრავდა, ევდოკია დგებოდა და ცეკვას იწყებდა, ცეკვისას მისი მოძრაობების სილამაზის აღწერა სიტყვებით ავტორს შეუძლებლად მიაჩნია. სადილის შემდეგ კი თვალწარმტაც ბაღში გადიოდნენ და იქ სეირნობით ტკბებოდნენ. საწუხარი მხოლოდ ერთი ჰქონდათ უშვილობა, ღმერთს შვილის ბოძებას

ყოველდღე ევედრებოდნენ, ქველმოქმედებას ეწეოდნენ, გლახაკებს წყალობას არ აკლებდნენ, მაგრამ მათ იმედებს ახდენა არ ეწერა. მიუხედავად ამისა, არასოდეს საყვედურობდნენ ღმერთს, რადგან უშვილობის მიზეზად თავიანთი ცოდვები მიაჩნდათ. ქმრის გარდაცვალებიდან ხუთი წლის შემდეგ დიგენისის დედაც დასნეულდა, რომელმაც ქვეყანას სახელოვანი გმირი უშვა და გაუზარდა. მან მხოლოდ ოთხი დღე იავადმყოფა და მეხუთე დღეს გარდაიცვალა.

**წიგნი VIII.** სიხარული და ბედნიერება ამა სოფელსა შინა წარმავალი და ცვალებადია. ადამიანთა საბოლოო თავშესაფარი ჰადესია, ხოლო მბრძანებელი ქარონი. როგორც სიზმარი, ისე გაფრინდება, როგორც ჩრდილი, გვერდით ისე ჩაგიქროლებს, როგორც კვამლი, ისე გაიფანტება სიმდიდრე ამ ცხოვრებისა.

სიკვდილმა საკვირველ აკრიტასსაც მოაკითხა. მიზეზად ამისი დაბანა გახდა. დიგენისს მამის ნათესავები ესტუმრნენ. თავის დროზე მათი უმრავლესობა, ამირას შეგონებით, მართლმადიდებელი ქრისტიანი გახდა, მხოლოდ მცირე ნაწილს ჰქონდა ჯერ კიდევ წინაპართა სარწმუნოება, მაგრამ დაუჯერეს რა აკრიტასს, ისინიც მოინათლნენ.

დიგენისი სტუმრებს გულთბილად შეხვდა. მდიდრულ ნადიმებსა და ნადირობებს ბოლო არ უჩანდა. ნათესავები აღტაცებას ვერ მალავდნენ, როცა ყოველდღე მოწმენი ხდებოდნენ დიგენისის უჩვეულო ძლიერებისა, სისწრაფისა და სიმარჯვისა.

ერთ დღესაც აკრიტასმა აბანოს მომზადება ბრძანა, რომელიც ბალის შუაგულში იდგა და თავის ახლობლებთან ერთად იბანავა. იგი მყისვე საშინელმა სენმა შეიპყრო, შინ დაბრუნდა და დაწვა, ცდილობდა აუტანელი ტკივილი დაეთმინა და მისით გამონვეული ტანჯვა დაეფარა, რათა მეუღლე არ დაემწუხრებინა. მიუხედავად ამისა, ევდოკია მაინც მიხვდა, რომ დიგენისი ძლიერ იტანჯევოდა და სთხოვა, ეთქვა რა



სტკიოდა. მაშინ დიგენისმა გაუმხილა, რომ სხეულის ყველა ნაწილი სტკიოდა და ექიმი მოითხოვა. ექიმმა გასინჯა და დარწმუნდა, რომ გმირს სასიცოცხლო ძალები დაშრეტილი ჰქონდა და მწარედ ატირდა. მისმა ტირილმა აკრიტასი მიახვედრა, რომ აღსასრული ახლოს იყო. დიგენისმა ექიმი დაითხოვა და მეუღლე იხმო, პირისპირ დაჯდომა სთხივა, რათა მისი ცქერით უკანასკნელად დამტკბარიყო, ძალ-ღონე მოიკრიბა და საყვარელ მეუღლეს ყველა ის საგმირო საქმე გაახსენა, რომლის ჩადენის ძალაც მისმა უსაზღვრო სიყვარულმა მისცა. ახლა იგი, უძლეველი გმირი, უძლური იყო სიკვდილისა და ქარონის წინაშე, რომელნიც მას საყვარელი არსების მარტოდ დატოვებას აიძულებდნენ.

იცოდა რა, რომ მარტოხელა, საკვირველი სილამაზით დაჯილდოვებულ ქვრივს ცხოვრება გაუჭირდებოდა, დიგენისმა ევდოკიას ხელახლა დაქორწინება ურჩია, ამ ნაბიჯის გადადგმას ქალს მისი ახალგაზრდობაც აიძულებდა, მაგრამ სთხოვა ახალი მეუღლე არა სიმდიდრისა და დიდების, არამედ სიმამაცის მიხედვით აერჩია.

ევდოკია უფალს, რომელმაც ასისტავის ასული გააცოცხლა და ოთხი დღის მკვდარი ლაზარე აღადგინა, შეევედრა სასიკვდილო სენისაგან დაეხსნა დიგენისი, ხოლო თუკი ეს შეუძლებელი იყო, მაშინ პირველად იგი გაეყვანა ამ ცხოვრებიდან, რათა არ ეხილა მისი უსულო და უმოძრაო სხეული, მკერდზე გადაჯვარედინებული ხელებით, რომელთაც უამრავი საგმირო საქმე ჰქონდათ ჩადენილი.

როცა მხურვალე ლოცვის შემდეგ ქმართან შებრუნდა, ნახა, რომ დიგენისს უკვე სული ხდებოდა. მიხვდა რა, რომ ძალა ამ საშინელი უბედურების გადატანისა აღარ ჰქონდა, იგი საყვარელ მეუღლეს ზედ დაემხო და სული განუტევა. სულთმობრძავი, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხალი დიგენისი მიხვდა, რომ მისი ძვირფასი მეუღლე ცოცხალთა შორის აღარ იყო. მან ღმერთს მადლობა შესწირა, რომელმაც მას

აუტანელი ტკივილი ააცილა იმ ფიქრით გამოწვეული, რომ უძვირფასეს არსებას უმწეოსა და დაუცველს ტოვებდა უცხოთა შორის. სახელოვანმა გმირმა გულზე ხელები დაიკრიფა და მშვიდად მიაბარა სული უფლის ანგელოზებს.